ცნობის ფურცელი

№ 2316 პარასკევი, 7 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2316

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 9 ნოემბერს, დილის 11 საათზედ ქუთაისის სომეხთა ეკლესიაში, გარდახდილ იქმნება **ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი** ყოვლად პატივცემულისა და საყვარელის მამის

დეკანოზ ტერ-დავით იარალიანცის

სულის მოსახსენებლად. ასულნი და სიძენი განსვენებულისა სთხოვენ ნათესავთა და მეგობართ მობრძანდნენ და წირვაზე დასწრებით პატივი სცენ აწ გარდაცვალებულს ღირსეულს მამას. (1—1)

წარმ. 17. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 9 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

უ ბ ე დ უ რ ი

დრამა 3 მოქმ. თხზ. კანო-მი-მაზასისა, თარგმ. ვ. გუნიას მიერ.

II

ს ა უ ბ ე დ უ რ ო დ ე ბ ი უ ტ ი

ვოდ. 1 მოქმ. რუს. ახოსპირელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა“, მოლიერისა. შემდეგი ბენეფისი 11 ნოემბერს იქნება კ. ყიფიანისა.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, 1903 წ.,

ჯირალდონის მონაწ. წარმოდგენილი იქმნება

ბ ა ლ - მ ა ს კ ა რ ა დ ი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კალცინა, კარტაეინა, კალინინა; ბ-ნნი: ჯირალდონი, რაისკი, ილიუშჩენკო, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი. 8 ნოემბ. გალა-წარმოდგ.—„დუბროვსკი“. 9 ნოემბ. ორი წარმოდგენა, დილით—„რუსალკა“, საღამოთი—„სევილიელი დალაქი“, ფინალი ოპ. „ერნანიდან“ და ცეკვა ბალ. „შჩელკუნჩიკიდან“. (ნ).

გამგეობა ტფილისის სამარხ

კასსისა

აუწყებს თავის წევრთ გარდაცვალებასა ამავე კასსის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს შემოიტანონ ხვედრი გარდასახადი **თითო მანეთი და ხუთი შაური** გამგეობის წევრ იოსებ მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“).

ვისაც ჰსურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიჰმართოს. (4—1)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. – კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ხიჟილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაქისა. (წლ.)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—14)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ს ი ა

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული.

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
357	ნიკო ა. ჩიქოვანი	6	—
358	ანასტასია კლდიაშვილი. . . .	6	—
359	ჯანსუყ თ. დადეშქელიანი . . .	6	—
360	გაბრიელ დიმ. გულისაშვილი . .	6	
361	დარისპან ვ. გარეჩილაძე. . . .	6	—
362	გერასიმე დ. ბერიძე	6	—
363	გრიგოლ ილ. გოგელია.	6	—
364	ოქროპირ ივ. ჩაჩანიძე	6	—
365	სიმონ დ. ჯაფარიძე	6	—
366	ბესარიონ ვ. ლოსაბერიძე . . .	6	—
367	გიორგი სტ. აკოფაშვილი . . .	6	—
368	ლუარსაბ მიხ. ყრუაშვილი . . .	6	—
369	სოლომონ თ. ხოშტარია	6	—
370	ანდრია ი. ხოჩალავა	6	—
371	მიხეილ ბ. ნადირაძე	6	—
372	ნოე ალმ. ქელენტი	6	—
373	დესპინე გ. სიდავა	6	—
374	ანნა ივ. ზედგინიძე	6	
375	ივანე ნ. ზედგინიძე	6	—
376	მიხეილ ნ. ზედგინიძე	6	—
377	მღ. დიმ. ვარდიაშვილი	6	—
378	გიორგი გ. ჩხეიძე	3	
379	სიმონ ნ. კასრაძე	3	—
380	ივანე იას. ჩერქეზიშვილი . . .	3	—
381	მიხეილ ალ. ნაკაშიძე	6	—
382	მიტროფანე ლაღიძე.	6	
		147	—
	სულ წლის განმავლობაში.	2765	35

საზღვარ-გარედ

იაპონიის ხალხის აღელვება რუსეთის წინააღმდეგ

„რეიტერის სააგენტო“-ს ტოკიოდან ამნაირი დეპეშა გაუგზავნია ინგლისურ გაზეთებისათვის:

„იაპონელ პოლიტიკოსთა წრეები და საქმის მცოდნე კაცები ძლიერ ექვობენ, რომ რუსეთ-იაპონიის დავა მანჯურიის თაობაზე მშვიდობიანად გადასწყდეს.

ჰფიქრობენ, თუ რუსეთი იაპონიის ყველა მოთხოვნილებას არ აასრულებს, მანჯურიის თაობაზე უსათუოდ ომი ასტყდებაო.

იაპონიის ხალხი უფრო და უფრო ჰღელდება რუსეთის წინააღმდეგ და გაბედულ პოლიტიკას თხოულობს. მთავრობა ვეღარას ხდება, ხალხს ვეღარ ამშვიდებს. ხალხმა ტოკიოში დიდი კრება მოახდინა და ერთხმად დაადგინა, მანჯურიის საქმე, რაც შეიძლება, მალე უნდა გადასწყდეს, თორემ დაგვიანებით დიდი ზარალი ეძლევა იაპონიის ეროვნულ ინტერესებსაო. ამ კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო“.

ჩინეთი ომის თადარიგშია

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: „1 ნოემბერი. „დეილი მეილ.“-ს სწერენ ტიანძინიდან, ჩინეთის დიდებულთა საბჭოს მინდობილობით ჩილის პროვინციის მეფის მოადგილემ ადმირალ ალექსეევთან მოლაპარაკება გამართა. როგორც გავიგეთ, მოლაპარაკებას კარგი არა მოჰყვა-რა ჩინეთისათვის. იგივე გაზეთი იუწყება, ჩინეთის ქარხნებსა და ფაბრიკებში დღე და ღამ მუშაობენ და სამხედრო მასალას ამზადებენო; იაპონიის ელჩი საიდუმლოდ ეთათბირა ჩან-ჩი-ტუანსა და პრინც ჩინგსაო.“

მაკედონიის საცოდაობა

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება, მაკედონიის ხალხი დღესაც დიდ სატანჯველში ჩავარდნილიო. მონასტირის ვილაეტის მცხოვრებთა მწუხარება კალმით არ აიწერება. მთაში გახიზნულმა ხალხმა შიმშილსა და სიცივეს ვეღარ გაუძლო და ნელ-ნელა ისევ ბარში ჩამოვიდა. რადგან სოფლები სულ ოსმალებმა დაანგრიეს, უსახლკარო ხალხი ქალაქებს ეტანება. გაჭირვებული მაკედონელები მოწყალებას არას დროს არა თხოულობენ და უცხოელებს არაზე არ აწუხებენ. ამიტომ გარეშე მაყურებელი ვერცკი იგებს, თუ რა საშინელ ყოფასა და გაჭირვებაშია ჩავარდნილი აქაური ხალხიო.

როზანოს თავის მოკვლა

როზანოს ჯიოლიტისთვის მიუწერია: „სოციალისტ ბერგამოსკიმ რომ წერილები და დეპეშები დაბეჭდა, არას დროს არც გამიგონია, არც დამიწერია; ყველაფერში მართალი ვარო“. გაზეთი „პოპოლო რომანო“ სწერს ამის თაობაზე: ბერგამოსკიმ რომ როზანოს შესარცხვენად წერილები და დეპეშები დაბეჭდა, განსვენებულის დაწერილი არააო. ეს ქაღალდები როზანოს კანცელარიაში მოსამსახურეებს დაეწერათო.

როზანოს თავის მოკვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ იტალიაზე. ამბობენ, განსვენებულის სახლობა ნეაპოლის გამოჩენილ ადვოკატებს დაეკითხა; უნდათ, რომ ის კაცები, ვინც როზანოს საქმე გაუჭირეს და თავი მოაკვლევინეს, სამართალში მისცენ. ლიბერალურ გაზეთებს იმედი აქვთ, ამ საქმეზე სასამართლოში პროცესი დაიწყებაო.

ჯიოლიტის ისე ეწყინა და ისე გაუკვირდა თავის მეგობრის სიკვდილი, რომ სამსახურიდან გადადგომას აპირებდა, მაგრამ მეფე არ დასთანხმდა. ზოგი გაზეთიც ურჩევს, სჯობია სამსახურიდან გადადგეო. ოფიციოზური გაზ. „კაპიტან ფრაკასა“-კი ბეჯითად არიგებს პირველ მინისტრს: უსათუოდ უნდა სამსახურში დარჩე, ისევ სჯობია აშკარა, გულ-და-გულ ბრძოლაში დაეცე, ნურავის ნუ აფიქრებინებ, რომ იტალიის სამინისტრომ უბრძოლველად დაუთმო „გამძვინვარებულ რეგვენ მტარვალებსაო“ (ვითომ სოციალისტებსაო).

სოციალისტები ამტკიცებენ, ეს უბედურება სულ ჯიოლიტის ბრალიაო. როზანო ფინანსთა მინისტრად არ უნდა დაეყენებინა, მით უმეტეს, რომ ჩვენ წინდაწინვე გავაფრთხილეთო. ჯიოლიტიმ არ გაგვიგონა და ეხლა ამ უბედურების პასუხიც თითონვე უნდა აგოსო. სოციალისტი დეპუტატები იმუქრებიან, როცა პირველი მინისტრი (ჯიოლიტი) პარლამენტს წარუდგება, ლაპარაკის ნებას არ მივცემთ, ხმასაც არ ამოვაღებინებთო.

მთავრობის მომხრე გაზეთები კი ესარჩლებიან ჯიოლიტის და ყოველ ბრალსა ჰყრიან. როზანო დიდი მეგობარი იყო ჯიოლიტისა და არას დროს, თვით დიდის გაჭირვების დროსაც-კი, არ უღალატნია ეხლანდელ პირველ-მინისტრისათვის. ამიტომ ჯიოლიტიმაც ფინანსთა მინისტრად მიიწვია, უნდოდა ამით თავისი მეგობრობა დაემტკიცებინაო. როზანოს თითონ უნდა სცოდნოდა თავისი საქმე, თითონ უნდა ეფიქრა, რომ იმისი მინისტრობა ბევრს ააღელვებდა იტალიაში და თითონვე უარი უნდა ეთქვა მინისტრობაზეო.

ბალფურის სიტყვა

ინგლისის პირველ მინისტრს ლონდონის ლორდ-მერის ნადიმზე მომეტებულ ნაწილად საგარეო პოლიტიკაზე ელაპარაკნა. საშინაო საქმეებზე, თვით ისეთ „საჭირ-ბოროტო“, დიდ საგანზე, როგორიცაა სატამოჟნო საქმე, თითქმის ხმაც არ ამოეღო. ლიბერალურმა თუ კონსერვატიულმა პრესამ კრიტიკულის თვალით შეჰხედა პირველ-მინისტრის სიტყვას.

„მორნინგ პოსტ“-ი შენიშნავს: „გილდჰოლმში გამართულ ნადიმის გამო, საზოგადოება ელოდა, რომ მთავრობის პოლიტიკას ცხადადა და მკაფიოდ აუხსნიდნენ, მაგრამ ბალფურმა არ ისარგებლა ამ შემთხვევით და ხალხს მთავრობის პოლიტიკა რიგზე არ გააგებინა: პირველ მინისტრმა არეული და ბუნდოვანი სიტყვა წარმოსთქვა“. „სტანდერდ“-ი სწერს: „ბალფურმა სატამოჟნო საქმე არც კი გაახსენა: ეს, ალბად, მეტად ბრძნული პოლიტიკაა. ჩვენი უმთავრესი პოლიტიკური პარტია თავისმავე წინამძღოლებმა მეტად უხერხულ ყოფაში ჩააგდეს. მთელ ჩვენ ხალხს ეხლა მარტოდ-მარტო ერთი საგანი (სატამოჟნო საქმე) აინტერესებს და პირველი მინისტრი ვერც კი ჰბედავს, რომ ამ საგანს შეეხოს“. „დეილი ნიუს“-იც ამასვე ამბობს და ბოლოს უმატებს: „თუ პირველს მინისტრს ნამდვილად გულით სწადიან, რომ მშვიდობიანობასა და საერთაშორისო კეთილ ურთიერთობას სარგებლობა მოუტანოს, თავდაპირველად ჩემბერლენი უნდა დაამშვიდოს და დიდ სატამოჟნო ომზე ხელი აალებინოს. კოლონიების მინისტრად ნამყოფის პროექტი სულ არ შეჰფერის არც ჩვენის დროის აზრებს, არც საერთაშორისო მშვიდობიანობას!“

ფეიქრების გაფიცვა საფრანგეთში

დეპუტატთა პალატის დადგენილების თანახმად, ჩრდილოეთ დეპარტამენტის პრეფექტმა საფეიქრო ფაბრიკების პატრონებს წერილი გაუგზავნა და ბეჯითად ურჩია, გაფიცულ მუშებთან მოლაპარაკება განაახლეთ და სამედიატორო სასამართლოს დასთანხმდითო. თუ ფაბრიკის პატრონები ამ წინადადებას დასთანხმდებიან, გაფიცულ მუშების კომიტეტი მაშინვე გაფიცვაზე ხელს აალებინებს და მუშაობას დააწყებინებს მუშებსაო.

მონაზონ-ქალების განდევნა საავადმყოფოებიდან

ამ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა პელტანმა განკარ-

გულება მოახდინა, საზღვაო სამინისტროს საავადმყოფოებიდან მოსამსახურე მონაზონი ქალები დაითხოვეთო. გაზეთები იუწყებიან, მონაზონი ქალები დიდ ბოროტ-მოქმედებას ჩადიოდნენ საავადმყოფოებ'შიო. ავადმყოფებს მაგრე რიგად ყურს როდი უგდებდნენ თურმე, უფრო ქარხნებსა და საწყობებს აქცევდნენ ყურადღებას, სხვა და სხვა მასალისა და სანოვაგეს უვლიდნენ და ანგარიშებს ადგენდნენო. დიდ-ძალ ტანისამოსსა, საცვალსა, სანოვაგეს იპარავდნენ და მონასტრებს უგზავნიდნენ. ასე, მაგალითად, ტულონის საავადმყოფოში მოსამსახურე მონაზონ-ქალებმა ამ ერთის თვის წინად 9 ათასი კილოგრამი მოპარული საცვალი, ქურქელი და სხვა ნივთები გაუგზავნეს ერთ მონასტერსაო.

ახალი ამბავი

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 20 ნოემბერს პეტერბურგში განსაკუთრებული კომისია განიხილავს საკითხს **კახეთში რკინის გზის გაყვანის** შესახებ. კომისია განიხილავს ორსავე მიმართულებას: ავჭალიდან თიონეთზე და ნავთლუხიდან გარედ-კახეთზე.

◆ უკვე ვწერდით, რომ შესდგა კომისია ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით ელისეევისა და ფრეზეს პროექტის განსახილველად **შავის ზღვის პირად საავტომობილო მოძრაობის** შესახებ. 31 ოქტომბერს ამ კომისიას მეორე და უკანასკნელი კრება ჰქონდა. კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა სააქციო საზოგადოების დაარსება, მხოლოდ საობლიგაციო თანხა 5 მილ. 2 მილიონ მანეთად შეამცირა. ამ დღეებში კომისიის დადგენილებანი მინისტრთა კომიტეტს გადაეცემა.

◆ იბეჭდება და ამ ცოტა ხანში გასასყიდად დარიგდება **„ქართ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ** საზოგადოების“ ახალი გამოცემა დიდი კედლის კალენდარი. კალენდარი ძალიან კარგად არის შედგენილი და მრავალის საყურადღებო ცნობებითაა სავსე.

◆ ქალაქის მდივანს, ს. ჰრელაშვილს, შეუდგენია მოხსენება ქალაქის სასარგებლოდ **საფუთო გადასახადის** შემოღების შესახებ იმ საქონელზე, რომელიც ტფილისში შემოაქვთ და ტფილისიდან გააქვთ. ასეთი გადასახადი წელიწადში ქალაქს მისცემს 45 ათას მანეთს. მოხსენების ავტორი ურჩევს ქალაქს ხელ-მეორედ აღძრას შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ.

◆ უკვე ვწერდით, რომ წესდებით ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** მოსწავლეთ უნდა მიეცეთ იმ ფულის ნაწილი, რომელიც შემოდის მოსწავლეთა მიერ დამზადებულ ნივთების გაყიდვით. ამ რამდენისამე ხნის წინად მოსწავლეებმა სთხოვეს დირექტორს, მიეცეთ იმათ კუთვნილი ფული. დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, მაცნობეთ როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაში: შეიძლება თუ არა მიეცეთ მოსწავლეებს კუთვნილი ფული? რამდენი და ან როგორის ანგარიშით? რომელ თანხიდან და რამდენიო? დირექტორი სთხოვს აგრეთვე, შეატყობინოს, რამდენია ამ ჟამად შეგროვილი ფული, რადგან სასწავლებლის საქმეებ'ში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არის.

◆ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს, **ქალაქ ბაქოს** ნაწილი სამრეწველო გადასახადების გიღების საქმეში პირველ კლასის ქალაქთა რიცხვში შეიტანოს. ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ გადასწყდებოდეს, სამინისტროს უთხოვნია ბაქოს სახაზინო პალატისათვის ზოგიერთ ცნობების შეკრება და ამ საქმის შესახებ მოხსენების წარდგენა. ბაქოს სახაზინო პალატამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას შემდეგი ცნობები: რა შემოსავალი აქვს ქალაქის თვით-მმართველობას წელიწადში; რამდენია დასაფასებელ გადასახადისა; რამდენია გაწერილი ქალაქის უძრავმამულებზე სახელმწიფო გადასახადი; რამდენი აქვს ტფილისს უძრავი მამული; რამდენს იხდის თვით-მმართველობა პოლიციისა და სხვა დაწესებულებათა შესანახავად და რა ღირს უძრავი მამულები ქალაქისა, რომელსაც დასაფასებელი გადასახადები აწერია.

◆ როგორც ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, სასწავლებელს ვალად ჰქონია 7044 მან სახელოსნო სასწავლებლის საწყობში დამზადებული სხვა-და-სხვა ნაწარმოები ჰქონია 7521 მანეთისა, წლის დამლევამდე სასწავლებელს სახარჯოდ დასჭირდება 4790 მან. ასე რომ დეფიციტი სასწავლებელს მოელის წელს 7334 მანეთი და 40 კაპ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი აცნობებს ყოველსავე ამას გამგეობას და სთხოვს, გადასდოს ფული დეფიციტის დასაფარავად.

◆ ბ-ნ კარპოვის ნაცვლად, რომელიც გადაიყვანეს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის **მოძრაობის უფროსად დანიშნეს** ინჟინერი პავლოვსკი. ბ-ნ პავლოვსკი დღემდე იმიერ-ბაიკალის რკინის გზის მოძრაობის უფროსად იყო.

◆ რკინის გზის ტფილისის **სადგურის უფროსი კ. კულჩიცკი,** როგორც „ნო. ობოზრ.“ გადმოგვცემს, სხვაგან გადაჰყავთ თურმე.

◆ **ქალაქის სტიპენდია** ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში კენჭის ყრით ერგო მესამე კლასის მოსწავლეს ნინო გელიტაშვილს. კენჭი უყარეს 40 კანდიდატს.

◆ გუშინ, 6 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორს, რომ გამგეობამ ი. ს. აბესალომოვის სახელობის **სტიპენდიანტად** გარდაცვალებულ ჯიმისტარაშვილის ნაცვლად დანიშნა მოსწავლე შალვა გოდერძიშვილიო.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: 1. „ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები“, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ხოლო გამოცემული ეპისკოპოსის ალექსანდრესაგან. წიგნს უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა. შეიცავს წიგნი 300 გვერდამდე და ღირს ერთ მანეთად. 2. „მოკლე ანგარიში ქუთაისში არსებულ თოფურიას საავადმყოფოს 12 წლის მოქმედებისა“. წიგნი რუსულია.

◆ 5 ნოემბერს ერევნიდან ტფილისს ჩამოვიდა ერევნის ვიცე-გუბერნატორი თავ. მიხ. ალექ. ნაკაშიძე.

◆ როგორც ტფილისის ქალაქის გამგეობის საბუხჰალტერო განყოფილების ცნობებიდანა სჩანს, ტფილისს ოქტომბერში შემოსვლია დასაფასებელ გადასახადისა—28,497 მან. 51 კაპ., სატრაქტირო გადასახადისა—5813 მან., ქალაქის წყლის მილიდან 15465 მან., სასაკლაოდან 6744 მან. და 7 კაპ. და სხვა. სულ 111.970 მანეთი და 75 კაპ.

◆ ტფილისის საბადოსნო სასწავლებლის მზრუნველმა სთხოვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, განკარგულება მოახდინოს, რომ გამოფენის დროს დარჩენილი ნაგავი და მიწა სკოლის ეზოში გატანილ იქნეს იქიდან.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, მეწულეთა რიგში, ალექსანდრე აზუხანოვის ხის ყუთების საკეთებელ სახელოსნოს 5 ნოემბერს ცეცხლი გაუჩნდა. ხმელ მასალას მალე მოედო ცეცხლი. ცეცხლი გადავიდა მათიევ-ლოგინოვისა და გევონდოვის სახლებზე. ცეცხლი ძალიან იყო გაძლიერებული, როცა მოვიდა მქრობელი რაზმი. რაზმმა ცეცხლი მეზობელ სახლებზე აღარ გადაუშვა. გევონდოვს უზარალნია 5000 მან. სხვათა ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული.

რუსეთის ქრონიკა

◆ გზათა სამინისტროს, როგორც „ბირჟ. ვედ.“ გადმოგვცემს, აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ რკინის გზის სახელოსნოები საქარხნო ინსპექციას დაექვემდებაროს.

◆ „ხარკ. გუბ. ვედ“-ის ოფიციალურ ნაწილში ადგილობრივ გუბერნატორის შემდეგი სავალდებულო დადგენილებაა დაბეჭდილი. „ქარხნებისა, ზავოდებისა და სახელოსნოების პატრონნი, აგრეთვე გამგენი და ზედამხედველნი ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ, რომ მუშათა შორის არ გავრცელდეს მავნე მოძღვრება ან საზოგადოების ამაღელვებელი ხმები. თუ გავრცელდა, ყოველივე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პოლიციას. ამასთან თვალ-ყური უნდა ადევნონ საეჭვო კაცებს და როგორმე ხელთ ჩაიგდონ ამათ მავნე მოქმედების გამამტყუნებელი საბუთები, მაგალითად—აკრძალული წიგნები, ხელთ-ნაწერები და სხვა. ხარკ. გუბ. თანამ. აღმასრულებელი ს. გერბელი“.

◆ ამ ბოლო დროს პეტერბურგსა, მოსკოვსა და ვარშავაში ძალიან უჩივიან ეგრედ წოდებულ ხულიგანებს, ანუ ქუჩის ბიჭებს, რომელნიც გამვლელ-გამომვლელთ მოსვენებას არ აძლევენ: სცემენ, სძარცავენ და ზოგჯერ ჰკლავენ კიდეც. ისე დღე არ გაივლის, გაზეთებში ამა თუ იმ ხულიგანების ოინბაზობა არ იყოს აწერილი. საშინლად გამრავლდა ხულიგანთა რიცხვიო, ერთხმად სწერენ გაზეთები.

◆ სამარაში, როგორც „სამ. გაზ.“-ი გადმოგვცემს, მეტად უცნაური პარაკლისი გადაუხდიათ. ერთის უბნის სახლის პატრონებს სამადლობელი პარაკლისი გადაუხდიათ იმის გამო, რომ ამ უბნიდან სხვაგან გადაუტანიათ მაგარ სასმელების სახაზინო დუქანი.

◆ „რუსკ. ვედ.“-ში ერთი მოხელე, გვარად ობოლიანინოვი, რომელიც ვლადივოსტოკში მსახურებს, შემდეგს აცხადებს: „13 სექტემბერს ვლადივოსტოკიდან ტავრიდის გუბერნიის ქალაქ მელიტოპოლს გავგზავნე ჩემ მიერ აღზრდილი, მელიტოპოლის დედათა გიმნაზიის მოსწავლე, ლიდია ლეონიდის ასული ჩერნენკო. ხარბინიდან ჩერნენკო 15 სექტემბერს გავიდა. ყოველ დღე ღია წერილებს მიგზავნიდა, ხოლო 20 სექტემბერს ალზამაის სადგურიდან მომივიდა დეპეშა, მატყობინებდა, მშვიდობით გადავედით ბაიკალსაო. 20 სექტემბრიდან წერილები და დეპეშები აღარ მიმიღია და ჩერნენკო უკვალოდ დაიკარგა, რადგან მელიტოპოლში 30 სექტემბერს უნდა ჩასულიყო და კი არ ჩასულა“. შემდეგ ობოლიანინოვი სთხოვს ყველას აცნობონ, თუ რამ გაიგეს, ამ დაკარგულ ქალის შესახებ. ჩერნენკო 16 წლისაა, კარგის სახისა, შავგვრემანი, შუა ტანისა და კარგად აგებული.

პრესსა

„პეტერბ. ვედომ.“ იმ აზრისაა, რომ დროა ეხლა გადათვალიერებულ იქმნას კანონმდებლობა ებრაელთა შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ ეს კანონმდებლობა მეტად გართულდა და ბევრი კანონი ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო. საზოგადოთო, განაგრძობს გაზეთი,

> ებრაელთა საკითხი ბოლოს დროს მეტად გართულდა და გამწვავდა; გამრავლდა და გაძლიერ-

ფელეტონი

ინგლისურ საშუალო სკოლის ხასიათი [1]

ინგლისური ყველაფერი თავისებური და განსხვავებულია. განგებას რომ ინგლისელი გაუჩენია, თან ისიც დაუტანებია—შენი საკუთარის გზით იარე, სხვას ნუ აჰყვებიო.

თავისებურად და განსხვავებულად აქვს ინგლისელს მოწყობილი სწავლის საქმეც.

ვინც კარგად არ იცნობს ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებას, განცვიფრებული დარჩება ინგლისურ სკოლის ხასიათით.

ევროპაში ყველგან გამეფებულია წვრილმანამდე შემუშავებული სისტემა სკოლებისა. ევროპის ყოველ სახელმწიფოში სასტიკად არის განსაზღვრული სასკოლო საქმისა და მთავრობის ურთიერთი დამოკიდებულება, წინდაწინვე შემუშავებულია სწავლების სისტემა, პროგრამა და სხვა პირობები სახელმწიფოს ყველა სკოლებისათვის. თუ, მაგალითად, სახელმწიფოში ეგრედ წოდებული „კლასიკური სისტემა“-ა გამეფებული, თქვენ წინდაწინვე იცით, რომ სახელმწიფოს ყველა გიმნაზიებში ერთი და იგივე წესი და პროგრამაა სწავლებისა. შესაძლებელია, რომ იმავ სახელმწიფოში არსებობდეს ეგრედ წოდებული „რეალური სისტემა“-ც, მაგრამ აქაც ყველა რეალურ სკოლაში ერთი და იგივე სისტემა და პროგრამაა. სახელმძღვანელო წიგნები, სწავლის დრო, მასწავლებლების შტატი წინდაწინვე განსაზღვრულის ჯამაგირით, ერთის-სიტყვით ყველაფერი წინდაწინვეა შემუშავებული და განსაზღვრული მთავრობისაგან და უბრალო შეცვლის ნებაც კი არავისა აქვს.

ზოგიერთ სახელმწიფოში მოსწავლის ტანისამოსის ფორმაც არის დაწესებული მთავრობისაგან, ასე რომ „ღილების რაოდენობისა და ქუდის ფერის საშუალებით შეგიძლიათ გაიგოთ განათლების მთელი სისტემა“.

ინგლისში სულ სხვა გვარ მოვლენას ვხედავთ. სისტემას, რეგლამენტაციას აქ ადგილი არა აქვს; თითეული სკოლა განსაკუთრებული, საგანგებო დაწესებულებაა თავის საკუთარის პროგრამითა და წესდებით. ერთის სიტყვით, აქ სრული „უსისტემობაა“, მაგრამ უსისტემობა „ძლიერის მუხისა, რომელსაც ვრცლად და თავისუფლად გაუშლია თავისი ტოტები ყოველ მხრისაკენ და სულ სხვა და სხვა სახით“.

სახელმწიფოსა და პიროვნებას შუა არსებული ურთიერთი დამოკიდებულება ინგლისში ისე კარგად არც ერთ მოვლენაში არ გამოიხატება, როგორც განათლების საქმეში.

როგორია ეს ურთიერთობა?

სახელმწიფო მხოლოდ ეხმარება და აქეზებს პიროვნებას. სახელმწიფო არ სთვლის თავის მოვალეობად თვითონვე იკისროს მთელი მართვა-გამგეობის საქმე: მთავრობა ხელს უწყობს ადგილობრივ დაწესებულების მოღვაწეობის სფერის გაფართოვებას, ზოგიერთ შემთხვევაში აიძულებს კიდეც ამ გაფართოვებას. სახელმწიფო მოწადინებულია და სცდილობს, რომ თითეული ინგლისელი დაინტერესდეს მართვა-გამგეობის საქმით, გაიღვიძოს და განავითაროს საზოგადოებრივ ცხოვრების ინსტინქტები და დაიკმაყოფილოს თვისი მოთხოვნილებანი თვითმოქმედებისა და თვითდახმარების გზით. ინგლისის სახელმწიფოს იდეალი ის კი არ არის, რომ პიროვნება შებორკოს და შეჰპოჰოს და დაუმორჩილოს მთელი მისი ცხოვრება ეგრედ წოდებულ „მაღალ პოლიტიკას“, არამედ ის, რომ განავითაროს მისი ცხოვრების მატერიალური და ზნეობრივი პირობები. ინგლისის ცენტრალური მთავრობა—პარლამენტი და მთავრობა—არის აღმასრულებელი ადგილობრივ დაწესებულებათა სურვილისა და არა მათი მბრძანებელი უფროსი.

სახელმწიფო არ ინახავს და არ ხელმძღვანელობს არც ერთ სკოლას.

პირველ დაწყებით სკოლებს ინახავს და განაგებს ადგილობრივი საერობო და საქალაქო დაწესებულებანი, სხვა-და-სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები და კერძო პირები. ცენტრალური მთავრობა მხოლოდ ხელ უწყობს და ეხმარება დაწესებულებათ და მხოლოდ იმას თხოულობს, რომ სკოლა იქ დაარსდეს, სადაც საჭიროა და არსებობს. მრევლი ან თემი სკოლას აარსებს მთავრობის შეგონებით და მთავრობის ფუნქციაც ამითი თავდება: გაძღოლა სკოლისა, თვალ-ყურის გდება, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვები (ხუთიდან თხუთმეტ წლამდე) დადიოდნენ და სწავლობდნენ სკოლაში, ადგილობრივ თვით-მმართველობის საქმეა.

სკოლა მზად არის და ბავშვებიც დაიარებიან. მთავარი საქმე ხომ ის არის, რომ სწავლების საქმე კარგად იქნეს დაყენებული. მთავრობა აქაც მხოლოდ წამქეზებელი და დამხმარებელია: იგი როდი ამბობს, რომ ამ პროგრამაზე მეტი არ ასწავლოთ და პროგრამის საზღვრებს არ გასცილდეთო; პირიქით, მთავრობა უჩვენებს პროგრამის მინიმუმს და რაც ამ მინიმუმზე მეტი კეთდება, სახელმწიფო ამისათვის მატერიალურად ეხმარება ხაზინიდან.

1870-ის წლის სასკოლო კანონის ძალით, ადგილობრივ დაწესებულებას უფლება ჰქონდა გადაეხდევინებია ყოველ თავის წევრისათვის თითო პენსი ბინის ღირებულობის ყოველ გირვანქა სტერლინგზე (ეხლა ეს გადასახადი, ახალის ბილის ძალით, ორჯელ მეტია), დანარჩენ საჭირო ფულს იღებდა მთავრობა; მაგრამ ყველა სკოლას ერთგვარად როდი ეხმარებოდა. მეტ ფულს იღებდა ის სკოლა, სადაც ბავშვები უკეთ სწავლობდნენ და სასწავლო საგნებიც მეტი იყო. იმის გამოსაკვლევად, თუ რომელ სკოლას როგორი უფლება ჰქონდა სახელმწიფოს დახმარებაზე, დაარსდა სასკოლო ინსპექტორის თანამდებობა. ინსპექტორის მოვალეობას არ შეადგენს სკოლისა და სწავლების მუდმივი თვალყურის გდება; ინსპექტორი აფასებს სკოლის მოღვაწეობის საზოგადო ღირსებას იმდენად, რამდენად ეს საჭიროა სახელმწიფოს დახმარების რაოდენობის გამოსაკვლევად.

მთავრობას ეს წამქეზებელი და დამხმარებელი როლი აქვს მხოლოდ პირველ დაწყებით სკოლის საქმეში. რაც შეეხება საშუალო სკოლას, იგი თითქმის ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული 1902 წლის ბილის მიღებამდე. მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ტიპის სკოლებს, თუმცა მათი მდგომარეომა თხოულობდა ამ ყურადღებას.

პირველად 1867-ში დაინიშნა საგანგებო

---

[1] „ობრაზოვანიე“, 10.

და ებრაელთა განათლებული ახალგაზდობა, რომელიც მოუთმენლად და გამწარებით ელის ებრაელთა სვე-ბედის გადაწყვეტას; საქმე იმდენად გამწვავდა, რომ უთუოდ უნდა შევუდგეთ საკითხის გადაწყვეტას. აუცილებლად საჭიროა, შესდგეს განსაკუთრებული საბჭო ან კომისია და სავსებით, საჯაროდ, დაიწყოს ებრაელთა შესახების კანონმდებლობის გადასინჯვა.

ამის გამო „ნოვოსტი“ შეჰნიშნავს:

> უნდა გავახსენოთ გაზეთს, რომ ასეთი კომისია უკვე იყო დაარსებული გრაფ იგნატიევის დროს, მაგრამ მის მუშაობას კეთილი შედეგი არ მოჰყვა.

* * *

ამას წინად აღნიშნული გვქონდა, რომ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა მომავალ კრებაზე, სხვათა შორის, განხილული იქმნება სხვა-და-სხვა საკითხი ასოთ-ამწყობებისა და სტამბის მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გაზეთი „ხარკოვ. ლისტოკ“-ი იტყობინება, რომ ხსენებულ საკითხებს ამ ჟამად უკვე იხილავს ხარკოვის სტამბების პატრონთა საერთო კრება. ორ სხდომაზე კრებას დაუდგენია:

> რადგან ამ ჟამად ხარკოვის ტიპოგრაფიებში სხვა-და-სხვა სამუშაო დღე არსებობს—10-დან დაწყებული 11½-მდე. ჩვენ სავალდებულოდ ვრაცხთ ყველა სტამბებში 1904 წლის 1-ლ იანვრიდან შემოვიღოთ 10 საათის მუშაობა, უქმეების წინა დღეებში-კი 9 საათისა. კვირა დღეები და უმთავრესი დღესასწაულები, რომელთაც ამასთანავე ვასახელებთ, უთუოდ უნდა ვიუქმოთ. ვაცხადებთ სურვილს, რომ ამ დღეებში გაზეთებიც უქმობდნენ, რათა გაზეთზე მომუშავეთაც დასვენება მიენიჭოთ კვირა-უქმე დღეებში. სტამბის შეგირდობისთვის ვაწესებთ 4 წლის ვადას ვაჟებისათვის და 2 წლისას ქალებისათვის, რადგან ესენი უფრო სწრაფადა და ბეჯითად მაცადინეობენ; ამ ვადის დასრულების შემდეგ შეგირდებს მიეცემათ შესაფერისი მოწმობა; ხოლო თუ სტამბა შეგირდებისათვის სკოლას დააწესებს, კურსდამთავრებულთ მიეცემათ ატესტატი.

შემდეგ სხდომებზე კრება განიხილავს საკითხებს სასტამბო სკოლების, მუშათა საექიმო დახმარების, მუშათა ბიუროს და სხვა ამგვარ დაწესებულებათა შესახებ. ყველა თავის დადგენილებათ მესტამბეთა კრება აცნობებს ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა მომავალ კრებას.

* * *

გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ ვარშავის საქალაქო მმართველობის ერთ გადაწყვეტილებას. ვარშავამ ეხლახან 33 მილიონი მან. ისესხა სხვა-და-სხვა საქალაქო საქმეთა მოსაწყობად. საქალაქო მმართველობამ დაადგინა, განსაკუთრებული კომისია აირჩიოს და იმასთან ერთად გადასწყვიტოს რასა და როგორ მოახმაროს ნასესხი ფული; კომისიაში გარეშეთაგან მიწვეულნი იქნებიან ადგილობრივ გაზეთების რედაქტორები. „ბირჟ. ვედომ.“ ამის გამო სამართლიანად შეჰნიშნავს:

> თუ ვარშავის მაგისტრატმა—უმთავრესად ბიუროკრატიულმა დაწესებულებამ—სცნო საჭიროდა და სასარგებლოდ პრესსის თანამშრომლობა და პრესსის აზრი, საქალაქო თვითმმართველობათ მით უმეტესად ჰმართებსთ ფართოდ გაუღონ კარი გაზეთების წარმომადგენლებს და ისარგებლონ მათის რჩევა-დახმარებით.

* * *

პეტერბურგის გაზეთები სავსეა წერილებით ეგრედ წოდებულ ხულიგანების შესახებ. ხულიგანებად იწოდებიან ქუჩის ბიჭები, რომელთაგან მოსვენება არა აქვთ გამვლელ-გამომვლელთ. გარყვნილი და გამხეცებული ქუჩის ხალხი თანდათან საშიშ ელემენტად ხდება, რადგან გამვლელთა შეურაცხება და წვალება აღარ იკმარეს და ეხლა ძარცვა-გლეჯასა და მკვლელობასაც მიჰყვეს ხელი. დღე არ გაივლის ისე პეტერბურგში, რომ რაიმე შემაძრწუნებელი ბოროტ-მოქმედება არ ჩაიდინონ ხულიგანებმა, რომელთა შორის უმეტესობა, საუბედუროდ, მოზარდი თაობაა. გაზეთები საჭიროდ სთვლიან ღონისძიებათა მიღებას და ქუჩის განთავისუფლებას ხულიგანების ტყვეობიდან; გაზეთების მიერ აღნიშნულ ღონისძიებათ იხილავს „ბაკ. იზვ“-ში ბ. იზგოევი და სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნაჩვენები ღონისძიებანი საქმეს ვერ უშველიან, პირიქით, შეიძლება, კიდევ უფრო გაამწვავონო. საქმე ისაა, რომ გაზეთების აზრით,

> ხულიგანების წინააღმდეგ საბრძოლველად სასტიკ კანონებისა და გაძლიერებულ დასჯის შემოღებაა საჭირო. თავ. მეშჩერსკი, მაგალითად, შემდეგ რჩევას იძლევა: ადმინისტრაციას მიენიჭოს უფლება თავის ნებითა და შეხედულებით როზგით დასაჯოს ხულიგანები, ხოლო ბოროტმოქმედების ჩადენისათვის სამხედრო სასამართლომ გაასამართლოს.

სხვა გაზეთები თუმცა ასეთს სასტიკობას არ ქადაგობენ, მაგრამ მაინც რეპრესიების შემოღებას თხოულობენ. ბ. იზგოევი ამტკიცებს, რომ სასტიკობა აქ ვერაფერს გახდება. გაროზგილი ხულიგანი კიდევ უფრო გამხეცდება და უფრო საშიში შეიქნება საზოგადოებისათვისო. სამხედრო სასამართლო-კი, თუნდაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტოს ყოველთვის დამნაშავეთ, ხულიგანებს ვერ დააშინებსო. ავტორს მოჰყავს ცნობილი ისტორიული ფაქტი: ინგლისში ქურდობისა და ჯიბგირობის მოსასპობლად დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა შემოიღეს; ჯიბგირები სარგებლობდნენ შემთხვევით და, როცა ხალხი გროვდებოდა ჯიბგირის ჩამოხრჩობის საყურებლად, ყველას ჯიბეებს უცლიდნენ... ბ. იზგოევი სამართლიანად ამტკიცებს, რომ ხულიგანობის მოსპობა შეიძლება სწავლა-განათლების გავრცელებითა და საზოგადოებრივ-ეკონომიურის რეფორმებითაო.

* * *

რუსეთის სამუსიკო საზოგადოების განყოფილება ტფილისში და იმისი სამუსიკო სასწავლებელი.

ჩვენ ხელთაა ზემოთ აღნიშნულის განყოფილების ანგარიში შარშან სექტემბრის 1-ლ რიცხვიდან წლევანდელ სექტემბრის 1-ლ რიცხვამდე მოქმედებისა. ამ ანგარიშიდანა სჩანს: წარსულ წელს განყოფილებას ჰყოლია 6 საპატიო წევრი, 4 სამუდამო ნამდვილი წევრი და 20-იც ნამდვილი წევრი.

ამ დროს განმავლობაში განყოფილებას გაუმართავს 10 კვარტეტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დასწრებია და ყველა კვარტეტი ასრულებელთ საუცხოვოდ ჩაუტარებიათ.

სიმფონიურ კრებათა გამართვა განყოფილებას ვერ მოუხერხებია, რადგან ამ დროს სახაზინო თეატრში საოპერო დასი არ ყოფილა და კერძო მემუსიკეთაგანაც შედგენა შეუძლებელი გამხდარა.

საანგარიშო წელს სამუსიკო სასწავლებელში ყოფილა: 14 კაცი სპეციალი და 14-იც მუსიკისათვის სავალდებულო საგნების შესასწავლად. მოსწავლენი ყოფილა 346, ამათგან 227 ქალი და 119 ვაჟი. ამ რიცხვიდან სწავლობდნენ: მუსიკის თეორიას 11, ფორტეპიანოს—205, სიმღერას—43, სკრიპკას 44, ვიოლონჩელს—9, კონტრაბასს—4, ფლეიტას—6, გობოის—3, კლარნეტს—3, ფაგოტს—3, ვოლტორნსა—6, ტრომბონს—4 და საყვირს—5.

წოდების გარჩევით მოსწავლეთაგან 173 ყოფილან თავად-აზნაურთა და მოხელეთა შვილები, 39—სამხედრო მოხელეთა შვილები, 3—სასულიერო წოდებისა, 84—მოქალაქესა და ხელოსანთა შვილები და 47-იც—ვაჭრებისა და გლეხების შვილნი.

ეროვნების მიხედვით: 117 რუსი ყოფილა, 126—სომეხი, 46—ქართველი, 30—ებრაელი, 16—გერმანელი, 5—პოლონელი, 2—ფრანგი, 2—ჩეხი და თითო იტალიელი და ბერძენი.

მასწავლებელთ უფასო მოსწავლენიც ჰყოლიათ წარსულ წელს; ამათი რიცხვი 21 ყოფილა. აი, რომელ მასწავლებელს რამდენი ჰყოლია უფასო მოსწავლე: ნ. დ. ნიკოლაევს (თეორია) 3, ფორტეპიანოზე მოსწავლენი—მ. ზ. გაბაშვილისას—1 ფ. გ. კენნერს, ი. მ. მატკოვსკის, ო. მ. პივოვაროვისას, ი. კ. სტახოვსკისას და მ. ი. უნტილოვა-სარაჯიშვილისას ორ-ორი მოსწავლე, ა. ო. მ ზანდარსაც—1. სიმღერის უფასო მოსწავლენი ორ-ორი ჰყოლიათ მ. ა. ბაბაიანისას და ე. გ. ბროჯის. სკრიპკაზე თითო-თითო ჰყოლიათ ვ. რ. ვილშაუსა და მ. ტ. ვასილევს.

სამუსიკო საზოგადოების განყოფილება წარსულ წელს სტიპენდიას აძლევდა 33 მოსწავლეს, ტფილისის ქალაქის გამგეობაც—6-ს; ამათგან სამი ქართველია: ნიკო ნადირაშვილი, რომელიც საყვირზე სწავლობს, გიორგი მაჭავარიანი—ტრომბონზე, ნიკო ლაბაძე—ვოლტორნაზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში მოსწავლეთაგან ათი სამუსიკო საღამო გაუმართავთ და ერთიც სიმფონიური. წელს მაისს გამოცდა უჭირავდა იმათი, ვინც სწავლა შეასრულა ამ სასწავლებელში. გამომცდელ კომისიას სწავლა-დამთავრებულად უცვნია: ფორტეპიანოზე დამკვრელნი 6, ამათგან ერთი ქართველი ქალია, ზინაიდა ბახუტაშვილისა (მ. ი. უნტილოვა-სარაჯიშვილის კლასისა); სკრიპკაზე დამკვრელი 3 და კლარნეტზე—1.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამუსიკო სასწავლებელს შემოსვლია სულ 33,047 მანეთი 96 კაპ., დაუხარჯავს 30,038 მან. 89 კაპ. და 1-ლ სექტემბერს დარჩენია 3,009 მან. 7 კაპ. წინა წლების გადამეტებული ხარჯები რომ გამოვიდეთ, წმინდა შემოსავალი დარჩება 966 მან. 77 კაპ.

შეუძლო მოსწავლეთათვის დასახმარებელი თანხა შარშან 1-ლ სექტემბერს სასწავლებელს ჰქონია 2,591 მან. 64 კაპ., ამ თანხის სარგებელი შემოსულა წლის განმავლობაში 95 მან., ასე რომ ამ წლის 1-ლ სექტემბერს სულ 2,686 მან. და 64 კაპ. ჰქონია.

მთელი ნივთიერი ქონება სასწავლებლისა—საკრავები, სურათები, ავეჯი, წიგნთ-საცავი და სხვ. შეადგენს 13,572 მან. და 90 კაპ. ღირებულებას.

სამაგალითოდ აღსანიშნავია განყოფილების მოქმედებაში ის, რომ წინა წლებში დაწყებული საკუთარი შენობა დღეს სავსებით დასრულებულია და სასწავლებელიც იქ დაბინავებულია. ეს სახლი და სახლის ადგილი განსაკუთრებით შეწირულობით აკრეფილის ფულითაა აგებული. ჯერ კიდევ სრულიად არ ჰქონდა განყოფილებას საჭირო ფული ხელში, როცა სადგომის შენებას შეუდგა. აგეს თუ არა სახლი, ბანკში დააგირავეს; იქიდან გამოტანილმა ფულმა მაინც არ იკმარა, მიჰმართეს დახმარებისათვის უმთავრეს დირექციას პეტერბურგს, მაგრამ იქიდან უარი მოუვიდა განყოფილებას. ბანკიდან ზედ მეტი სესხი რომ გამოეტანათ, სახლი ვალს ვერ გაუძლებდა. ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში დახმარება აღმოუჩინეს: სასწავლებლის დირექტორმა—თავმჯდომარემ კ. მ. ალიხანოვმა, რომელმაც საკონცერტო დარბაზის მოწყობა თავისს თავს აიღო და ამისათვის ათას ექვსი თუმანი დაჰხარჯა თავისს ჯიბიდან; სტეფანე და იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილებმა 900 თუმანი შესწირეს და სასწავლებელი ერთიანად დასრულდა.

სასწავლებლის დირექციამ ამ უხვი შეწირულების ამბავი პეტერბურგს აცნობა რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარედ ითვლება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დიდი მთავრის მეუღლე ალექსანდრა თეოდორეს ასული და იმის ამხანაგად დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. ამ დღეებში დიდ მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს უმაღლესის რესკრიპტით უცნობებია ბ-ნ ალიხანოვისათვის: თქვენის უხვის შეწირულებისათვის უმაღლესმა დირექციამ გულითადი

კომისია საშუალო სკოლის მდგომარეობის გამოსაკვლევად. ამ გამოკვლევიდან სჩანს, რომ ინგლისის საშუალო სკოლა ან არის კერძო შემოწირულებაზე დამყარებული, ან რომელსამე საეკკლესიო თუ გილდის ორგანიზაციას ეკუთვნის ან და კერძო პირის დაარსებულია. არც ერთი საშუალო სკოლა არ დაუარსებია თვითონ მთავრობას.

ხსენებულ კომისიის მოხსენების თანახმად, ინგლისის საშუალო სკოლა განახლდა იმ მხრით, რომ ბევრი მოძველებული, არხაიული წესი მოისპო და სასწავლო პროგრამაში ახალი საგნები შეიტანეს.

მაგრამ ეს რეფორმა სრულებით არ შეჰხებია საშუალო სკოლის მრავალგვარობას, მას არ შემოუღია „ერთი სასკოლო სისტემა“ ინგლისის ყველა სკოლებისათვის. პირიქით, ამ რეფორმის შემდეგ, როგორც სჩანს, კიდევ უფრო მეტი მრავალგვარობა დაეტყო ინგლისის საშუალო სკოლას.

უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ინგლისურ საშუალო სკოლისა სწავლების მხრივ ის არის, რომ სასწავლო საგნები შეფერებული და შეხამებულია მოსწავლეთა მოთხოვნილებასთან და ხასიათთან.

ეს თავისებურობა ინგლისურ სწავლებისა არის ბუნებრივი შედეგი ინგლისის საზოგადოებრივ წყობილებისა.

იქ, სადაც სავალდებულო სამხედრო ბეგარა არ არის, სადაც ყველა თანასწორია უფლებით და უპირატესობა არა აქვს, აუცილებლად სკოლის მიზანი სულ სხვაა, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში, სადაც სკოლა სკოლა არ არის, თუ კურს-დამთავრებულს ატესტატს ან რამე ამგვარ მოწმობას არ აძლევს. რუსეთში სკოლის მიზანი ძალა-უნებურად „სიმწიფის ატესტატი“ ან „კურსის დამთავრების მოწმობაა“. რუსულ საშუალო სკოლაში კურს-დამთავრებულს უფლება აქვს „წოდებაზე“ („ზვანიე“); მაგალითად, კომერციულ სასწავლებლის გათავება იძლევა პირად საპატიო მოქალაქის წოდებას. აქ „ქაღალდის“ მიხედვით სწავლობენ: უნდა გაიარონ განსაზღვრული კურსი, განსაზღვრულ რაოდენობა საგნებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებენ „ქაღალდს“, რომელიც ყველა კურს-დამთავრებულთათვის ერთი და იგივეა, რა სპეციალ საგნის შესწავლაც არ ჰსურდეს.

ინგლისში თვითონ სკოლა არავითარ „უფლებას“ და მაშასადამე არც არავითარ მოწმობას არ იძლევა. სკოლის დანიშნულება აქ წმინდა აღმზრდელი, კულტურული და საპროფესიო არის. ამიტომაც სკოლას „ქაღალდი“ კი არა აქვს მიზნად, არამედ თვით ადამიანი, მისი სულიერი თვისებანი და პრაქტიკული მოთხოვნილებანი. „საპასპორტო წოდებრივ და საპოლიციო მოსაზრება სრულებით უცხოა ინგლისურ სკოლისათვის.“

რაკი სკოლა არავითარ „უფლებას“ არ იძლევა, ამიტომ არც ეგზამენებია საჭირო სკოლაში. სკოლა მხოლოდ ამზადებს ეგზამენებისათვის, რომელიც სკოლის გარედ ჰხდება. თვითონ სკოლის გათავების მოწმობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. „ვინ იცის, როგორ და რას ასწავლიან თითეულ სკოლაში. ხომ არ შეუძლია, მაგალითად, საექიმო საბჭოს ან ადვოკატების კორპორაციას ან ინჟენერების ინსტიტუტს თითოეულ სკოლის გარემოება იცოდეს! სკოლა დიდად სახელ-განთქმულიც რომ იყოს, მაინც ძნელია სრული ნდობა მასწავლებლებისა, რადგან ამათი ინტერესი მოითხოვს, რომ შეიძლება უკეთ უჩვენონ თავიანთი სკოლა საზოგადოებას.“

ამიტომ აუცილებელი შეიქმნა უფრო ავტორიტეტული საეგზამენო დაწესებულება, რომელსაც სკოლასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

ეს საეგზამენო დაწესებულებაც კერძო ინიციატივის საქმე იყო. პირველი ასეთი დაწესებულება გაჩნდა ინგლისში 1846 წელს მასწავლებელთა კერძო საზოგადოების ინიციატივით: აქ სამი საეგზამენო პროგრამაა იმის მიხედვით, თუ ვის სად უნდა სწავლის განგრძობა.

მეორე საეგზამენო კომისია დაარსდა „პრაქტიკულ მეცნიერებათა“ საზოგადოებასთან. შემდეგ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უნივერსიტეტებმაც.

თითოეულ საეგზამენო კომისიას თავისი პროგრამა აქვს და მოწმობა, რომელსაც ეს კომისია იძლევა, ნებას აძლევს პატრონს შევიდეს განსაზღვრულ უმაღლეს სასწავლებელში და განსაზღვრულ პროფესიას მოჰკიდოს ხელი.

რადგან ინგლისში ყოველ უნივერსიტეტს და პროფესიას თავისი საკუთარი მოთხოვნა და წესი აქვს, თვით მათ წევრთა მიერ დაწესებული, ამიტომ სკოლა, რომელიც ამზადებს ახალგაზდობას ამ დაწესებულებათათვის, ერთის პროგრამით ვერ იხელმძღვანელებს. სკოლა იძულებულია ასწავლოს ყოველ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ყოველ ჯგუფს იმის მიხედვით, თუ ვის სად სურს შესვლა. ინგლისური საშუალო განათლება ყოველ შემთხვევისა და მოთხოვნილებისათვის შედგენილ ერთის პროგრამისაგან კი არ შესდგება, არამედ ცალკე და დამოუკიდებელ საგნებისაგან. მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს სამი ან ოთხი საგანი და ათი და თორმეტიც, იმის მიხედვით, თუ რა მიზანი აქვს მას.

მეორე უმთავრესი თვისება ინგლისურ საშუალო სკოლისა არის მისი თითქმის სრული დამოუკიდებლობა. მთავრობას ხელი არა აქვს მასთან. ყოველი საშუალო სკოლა, ისე როგორც ყოველი უნივერსიტეტი, ინგლისში სრულებით დამოუკიდებელი დაწესებულებაა და ამიტომაც მოსწავლენიცა და მასწავლებელნიც წარმოადგენენ მჭიდროდ დაკავშირებულ წევრებს ერთის კორპორაციისას. ყოველ სკოლას თავისი ტრადიცია აქვს, თავისი ისტორიული მოგონებანი, თავისი დევიზი. „სკოლის სახელი“ მასწავლებლისა და მოსწავლისათვის არის ძვირფასი დროშა და ყოველი მათგანი სცდილობს, რომ ამ დროშას ჩირქი რამე არ წაეცხოს. დამოუკიდებლობამ, თავისუფლებამ და თვითმოქმედებამ დიდი ზნეობრივი ძალა მისცა ინგლისურ სკოლას. იქ, სადაც ამ დამოუკიდებლობასა და თვითმოქმედებას ადგილი არ აქვს, სადაც პიროვნებაცა და ადგილობრივი კორპორაცია დაჩაგრულია, სადაც მოქმედება წინდაწინვე აგებულ ვიწრო ფარგალშია მოქცეული, სკოლაც უსულო, უსიცოცხლო დაწესებულებაა, თანამედროვე ცხოვრების შეუფერებელი და ყოველ ზნეობრივ ძალას მოკლებული.

* * *

მადლობა გამოგიცხადათ. გაცნობებთ ამას და „გთხოვთ ჩემის ავადმყოფ დედისა და ჩემის სახელობითაც უგულითადესი მადლობა მიიღოთ „საზოგადოებისა“ და იმის განყოფილების სასარგებლოდ ტფილისში დიდის ხნის მოღვაწეობისათვის“-ო.

სასამართლო

I

დღეს, 7 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გორში განიხილავს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ მიხაილოვის მუშების საქმეს. პასუხის გებაში მიცემულნი არიან: დიმიტრი ჟდანოვი, ვლადიმერ ხოსბეროვი, ნიკოლოოზ ფერაძე, გიორგი ღულაძე, ივანე სუხიაშვილი, დავით კომკანიძე, დათა თედოზაშვილი, ვასილ კვესაძე, ვასილ სამხარაძე, სერგო არუთინოვი, ვასილ ლაბაძე, რომანოზ მეგრელიშვილი, მათე მესობლიშვილი, პროკოფი კიკნაველიძე და ლევან ჩახვაიანცი. ამ 15 კაცს ისა ჰბრალდება, რომ მათ 1903 წელს, 14 ივნისს, სადგურ მიხაილოვოში სამუშაო დროს შესამცირებლად და სამუშაო ქირის მოსამატებლად მეთაურობა გაუწიეს 500-დან 1000 მუშამდე, უწესოებანი მოახდინეს და ამ უწესოებაში თვითონაც მიიღეს მონაწილეობა. ამასთან წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის წარმომადგენელთ სამსახურის აღსრულების დროს. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, სესსია ამ საქმეს განიხილავს ხალხის დაუსწრებლად. სასამართლოში 30 მოწმეზე მეტია დაბარებული. გადაწყვეტილებას სასამართლოსას თავის დროზე ვაცნობებთ მკითხველებს.

II

მგზავრების გაძარცვა

ბორჩალოს მაზრის თრიალეთის საბოქაულოში, იქ, სადაც ბარონ კუჩენბახის მინის ქარხანაა, 1902 წელს, 26 აგვისტოს, ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა გამვლელ-გამომვლელნი. ყაჩაღები ართმევდნენ მგზავრებს ფულს, ნივთებს, ცხენებს. მგზავრებს ყაჩაღები ბერდანებით აშინებდნენ და მოკვლას ემუქრებოდნენ. იმავე დღეს, საღამოთი, ყაჩაღები თავს დაეცნენ რამდენსამე მგზავრს და წაართვეს ერთს—40 მან. ფულად, ნაბადი, ჩოხა, ხურჯინი, ცხენი კვიციანად, მეორეს—ფულად 22 მან. და სხვ. 30 აგვისტოს ექვსი შეიარაღებული კაცი ჩაესაფრა მგზავრებს ტყეში სოფელ ეკატერინოფელდსა და ბოლნის ხაჩს შორის. ყაჩაღთა ბრბო აქ ორ დასად გაიყო და თვითეული დანიშნულ ადგილას შეუდგა ძარცვაგლეჯას. ყაჩაღებმა პირველად ხელი სტაცეს სოფლის მწერალს ივანე გორბაჩევ-ბიჩურინს. წაართვეს თუ რამე გააჩნდა, შემდეგ გადაიყვანეს ტყეში და დარაჯად დაუყენეს ერთი ყაჩაღი თოფით ხელში. ამავე ადგილზე დაიჭირეს ალაიანცი და გერმანელების ფურგონი, რომელშიაც ისხდნენ: დარჩო ხოჯაბეგოვი, ანანოვი და სხვანი. ეს მგზავრები ყაჩაღებმა ჩაიყვანეს ერთს მიყრუებულს ხევში და თოკებით შეჰკრეს, რომ არსად წასულიყვნენ. ერთი შეიარაღებული ყაჩაღი ამათ დარაჯად დაუდგა, სხვანი გზაზედვე წავიდნენ. ცოტა ხანს შემდეგ მწერალს გორბაჩევს დაუნახავს, რომ ყაჩაღებმა გაატარეს ეკატერინოფელდში მცხოვრები დისტანციის უფროსად ნამყოფი გიორგი ჩოჩიაშვილი. ერთს ყაჩაღს ჩოჩიაშვილისათვის ხელი ეკიდა კისერსა და ხელებში, ხოლო სამი უკან მისდევდა. ყაჩაღებმა ჩოჩიაშვილი მიიყვანეს ერთ ხესთან და იქ მიაკრეს. საღამოთი მივიდა ერთი ყაჩაღი და უბრძანა მგზავრებს, შეებათ ფურგუნში ცხენები და თავიანთ გზას დასდგომოდნენ. არ გაუშვიათ მხოლოდ ჩოჩიაშვილი. როდესაც მგზავრები გზაზე გავიდნენ, თოფის ხმა გაიგონეს. მეორე დღეს ჰნახეს მოკლულ ჩოჩიაშვილის გვამი. პოლიციას ამ ყაჩაღობის გამო შეუპყრია ოთხი თათარი: ჰაჯი-ალი-ოღლი, დურსუნ-ტაგი-ოღლი, ყურუშ-ოსმან-ოღლი და შირალი-ისა-ოღლი. როცა ესენი წარუდგინეს გორბაჩევსა და სხვა გაძარცულთ, ამათ იცნეს. ტფილისის ოლქის სასამართლომ ამ საქმის განხილვას მოანდომა ორი დღე, 5 და 6 ნოემბერი. სასამართლოში ბრალდებულნი არ გამოტყდნენ. ჩვენება ჩამოართვეს 50 მოწმეს. გაძარცულთ სასამართლოშიაც განაცხადეს, კარგად ვიცნობთ ამ ბრალდებულთ. ამათ გაგვძარცვესო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყველა ბრალდებული: ყურუშ-ოსმან-ოღლი, შირალ-ისა-ოღლი აჯი-აქი-ალი-ოღლი და დურსუნ-ტაგი-ოღლი და გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლების და ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა თითოს 8 წლით.

III

ექიმის მკრტიჩიანცის საქმე

გუშინ, 6 ნოემბერს, ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა ექიმ მკრტიჩიანცის საქმე. ამ ექიმს უჩიოდა ტფილისის მცხოვრები ტატიანა ქურდოვანიძე, მოქმედებით შეურაცხყოფა მომაყენაო. ამ რამდენისამე ხნის წინად მკრტიჩიანცის ქალთა სამკურნალოში წოლილა ქურდოვანიძის ერთი ნათესავი ქალი. როცა ეს ქალი სამკურნალოდან გამოსულა, ფული არა ჰქონია, ამიტომ 180 მანეთის თამასუქი მიუცია ექიმისათვის. ქურდოვანიძეს არა სცოდნია, რომ ავადმყოფი ქალი სამკურნალოდან წავიდა და მისულა იმის სანახავად. როცა მკრტიჩიანცს შეუტყვია, რომ ქურდოვანიძე იმის მოვალის ნათესავი იყო, უთქვამს, რატომ ფულს არ მოიტანსო. ლაპარაკის დროს ექიმი ისე გაცხარებულა, რომ ტატ. ქურდოვანიძისთვის კისერში ხელი ჩაუვლია, ჯანჯღარი დაუწყია და უკითხნია, როდის მომიტანს შენი ნათესავი ფულსაო? ამის გამო ქურდოვანიძემ მომრიგებელ მოსამართლეს მიჰმართა საჩივრით. მოსამართლესთან მომჩივან-მოპასუხე მორიგდნენ და მოსამართლემ საქმე მოსპო.

IV

ამავე დღეს მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გაერჩია ვექილის ყარაბეგოვის მიერ აღძრული საქმე იმის შესახებ, რომ ექიმი მკრტიჩიანცი მაზუთით აზურებს თავის სამკურნალოს და მთელ იმ კუთხეს, სადაც სამკურნალოა, ანტისანიტარულ მდგომარეობაში აგდებსო. მოსამართლემ საქმე გადასდო 15 ნოემბრისათვის, რადგან ექიმის ვექილმა ჩემესოვმა ითხოვა ახალ მოწმეთა დაბარება და ჩვენების ჩამორთმევა.

დაბა-სოფლები

სოფელი ველისციხე (კახეთი). წელს, როგორც სიღნაღის მაზრის ზოგიერთს ადგილებში, აქაც ღვინის კარგი მოსავალი იყო და მევენახეთაც უხაროდათ, რომ ეხლა კი ჩვენის ნაშრომით გავიხარეთ, რადგან ღვინო ძლიერ მშვენიერის ღირსებისა დაზგაო. იმედი ჰქონდათ, რადგან ღვინო კარგია, კარგ ფასსაც გავყიდითო. მაგრამ ეს იმედი ველისციხელ მევენახეთ გაუცრუვდათ. აირივნენ ბლომად სირაჯები და მათი კაცები, შეჰკრეს პირი და დაუშვეს ფასი ღვინისა, ასე რომ თუ წინანდელი წლის დაბალი ღვინოები იყიდებოდა საპალნე 100, 90 და არა ნაკლებ 80 მანეთისა, ეხლა მშვენიერი ღვინოები 70 მანეთს ზევით ალარ იყიდება. ფასების ასე დაკლება სავსებით სირაჯებისა და დალალების ბრალია.

ი. სესიაშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ნოემბერი

ვენა. დეპუტატთა პალატაში კერბერმა სავაჭრო ხელშეკრულობაზე ილაპარაკა და სთქვა, ავსტრია ეცდება, რუსეთთან სასარგებლო პოლიტიკური-სავაჭრო ხელ-შეკრულობა დასდოსო. „იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეს მოვახერხებთ, რადგან ჩვენი მონარქი მეგობრულ განწყობილებაშია რუსეთთან. ჩემის აზრით, ავსტრიის მთავრობა უოველთვის დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს ამ ბაზარს. ჩვენი სამრეწველო ოლქები არც თუ ძლიერ შორსაა რუსეთის საზღვრიდან. ჩვენის მონარქიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეს რომ მრეწველობა გავაძლიეროთ, რუსეთში უოველთვის კარგს ბაზარს ვიშოვით ჩვენის ნაწარმოებისათვის“—სთქვა კერბერმა.

კოლონი. პანამის წარმომადგენლებს წინადადება მისცეს, ისევ კოლუმბიას შემოუერთდითო, მაგრამ წარმომადგენლებმა უარჰყვეს ეს წინადადება. კოლუმბიის წარმომადგენლები სავინდაში დაბრუნდნენ.

ვინძორი. მეფის სასახლეში სამეფო გვარეულობისათვის სადილი გაიმართა.

კოტელნიჩი. ქალაქის საბჭომ 4 ნოემბერს დაადგინა, ქალ. კაზანს მხარი დავუჭიროთ და ჩვენც ვიშუამდგომლოთ, რომ კაზანიდან პერმსკზე კოტელნიჩამდე რკინის გზა გაიყვანონ, რადგან ეს გზა მთელის ვოლგის არე-მარეს, პეტერბურგის ნავთ-სადგურსა და ვიატკის მხარეს დიდ-სარგებლობას მოუტანს; ნიჟნი-ნოვგოროდიდან კოტელნიჩამდე გაყვანილი რკინის გზა-კი მარტო ნიჟნის მოუტანს სარგებლობასო.

მინსკი. ინჟენერებისა, მიწის მზომელებისა, ტყის მცველებისა, აგრონომებისა და ტეხნიკების არტელის წესდება დაამტკიცეს. ჩრდილოეთ დასავლეთ გუბერნიებში ასეთი არტელი პირველად არსდება.

არიოლი. ქალაქის საბჭომ მოისმინა მოხსენება იმის თაობაზე, რომ ქ. არიოლში დაბადებულს ტურგენიევს ძეგლი დაედგასო, და დაადგინა, განსვენებულ დიდებულ მწერლის სახსოვრად რამე განმანათლებელი დაწესებულება დავაარსოთ, მაგალითად, სახალხო სახლი ავაგოთო; ამ სახლისათვის საჭირო ადგილიც ჩვენ მივცეთო.

პარიზი. ბაქტერიოლოგმა მარმარეკმა სამკურნალო აკადემიაში გამოაცხადა, ტუბერკულოზის (ჭლექის) წინააღმდეგ წამალი (სითხე) აღმოვაჩინეო.

სტამბოლი. ავსტრიისა და რუსეთის ელჩებმა 3 ნოემბერს ბეჯითად მოსთხოვეს პორტას, რეფორმების თაობაზე პასუხი ჩქარა მოგვეცითო.

პორტ-არტური. იაპონიის პრესა ისევ ომის გუნებაზე დადგა და ისევ გაცხარებულ კილოზე დაიწყო წერა. როგორც ეტყობა, იაპონიის აგენტებმა ჩინეთში, ზოგიერთ საქმეში მაინც, თავისი გაიტანეს. „ნორდ შინა დეილი ნიუს“-ი იუწყება: ჩინეთის მეფის მოადგილეებსა და გუბერნატორებს დეპეშით ცირკულიარები გაუგზავნეს, საჩქაროდ ფული და ჯარი შეკრიბეთო, რადგან, შეიძლება, მალე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა შევწყვიტოთო. ზოგიერთი მეფის მოადგილე გაათრთხილეს—ზღვის ნაპირების დასაცველად დონისძიება მიიღეთ, წინანდელივით აღარ შესცდეთო.

სტამბოლი. ელიან, რომ პორტა რუსეთისა და ავსტრიის წინადადებას 3 ნოემბერს გასცემს პასუხს. პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია.

ლონდონი. ამ მოკლე ხანში საყურადღებო ამბავი მოხდება: ინგლისის ექსპედიცია იონგხეზბანდის უფროსობით ტიბეტში წავა, მდინარე შუმბის ველს დაიჭერს, სიკიმსა და ბუტანს შუა, და გიანძისაკენ გაილაშქრებს. გიანძე დაახლოვებით 150 მილის მანძილზე დევს ლასიდან. რადგან ამ ქალაქიდან ამბავი მოვიდა, საეჭვოა, რომ საქმე მშვიდობიანად გადასწყდესო, იონგხეზბანდა ამას წინად მეფის მოადგილეს მოელაპარაკა. ლასის მთავრობა დიდძალ იარაღს არიგებს და ხალხს ურჩევს, ომისათვის მოემზადეთო.

6 ნოემბერი

პეტერბურგი. „მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე-დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული 4 ნოემბერს ავად გაჰხდა მარჯვენა ყურის ანთებით. მთელი დღე და ღამის განმავლობაში ავადმყოფობის მიმდინარეობას ცვლილება არ დასტყობია. ტემპერატურა 37,6; მაჯა—68“. ხელს აწერენ: „ლეიბ-ხირურგი გირში, ექიმი კ. ბენნი.—სკერნევიცი, 5 ნოემბერს 1903 წელს“.

მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ საროვის უდაბნოში საროვის სასწაულ-მომქმედის წმიდა სერაფიმეს ნაწილების აღმოჩენის დღესასწაულზე ყოფნის დროს, კეთილ ინებეს და შესწირეს საროვის უდაბნოს 20 ათასი მანეთი. ეს ფული საროვის უდაბნოს გამგეობამ შეიტანა საუკუნოდ სახელმწიფო ბანკის ტამბოვის განყოფილებაში სამეფო სახლეულობის საუკუნოდ მოსახსენებლად.

დარმშტადტი. ხელმწიფე-დედოფალს ყურის ანთებისა გამო დარმშტადტს წასვლა არ შეუძლია, ამისათვის მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ არ შეუძლიათ დაესწრონ პრინცესა ელისაბედის დასაფლავებას.

ვაშინგტონი. პანამის ელჩმა ბუნო-ვარილიამ მიჰმართა აქ მყოფ უცხოელთა სადიპლომატო წარმომადგენელთ და სთხოვა რესპუბლიკა იცნონ.

პოტსდამი. მოვიდა დანიის მემკვიდრე პრინცი, სადგურზე მას შეეგება კრონპრინცი. საუზმის შემდეგ გაემგზავრნენ ახალ სასახლეში. 3 ნოემბერს პრინცი ვენას წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 4 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½
ლონდონისაზე ჩეკები	94,75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	456 გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	346 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	294½ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	241½ „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

იწვევთ იმათ, ვისაც, ვისაც სურს გალობის მასწავლებლობა მამა დავითისა, ვერისა I, ვერისა III და ჩუღურეთის ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებში. თხოვნების მიღება გასტანს 20 ნოემბრამდე. თხოვნასთან უნდა ახლდეს შესაფერი მოწმობა მასწავლებლობისა. (3—6.—3)

LA SURPRISE
(საჩუქარი)
რეინის ოქრო
№ 4711
ახლანდელი მოდის
დუხები
შეუდარებელის, მშვენიერის
და მაგარის სუნნელებისა
ფერდ. მიულგენსისა
კელნი რეინზე
ისყიდება ყველა კარგ მაღაზიაში.
(6. 9—2)

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა. მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭირო არაა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—4)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

Дозв. ценз. Тифлисъ 6 Ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).